

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 2

14.02.2020 წ.

2020 წლის 14 თებერვალს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის სხდომას 215 წევრიდან დაესწრო 145 წევრი.

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის ანგარიში 2015-2019 წლებში, მისი დეკანობის პერიოდში გაწეული სამუშაოს შესახებ - მომხსენებელი, პროფესორი დავით გურგენიძე;
2. ინფორმაცია დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ - მომხსენებელი, პროფესორი დავით გურგენიძე;
3. დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ - მომხსენებელი, პროფესორი დავით გურგენიძე;
4. სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ - მომხსენებელი, პროფესორი დავით გურგენიძე;
5. მთის განვითარების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სასწავლო კურსის სილაბუსების დამტკიცების შესახებ.
6. მიმდინარე საკითხები.

1.მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით გურგენიძის ანგარიში 2015-2019 წლებში, მისი დეკანობის პერიოდში გაწეული სამუშაოს შესახებ. (მომხსენება თან ერთვის ოქმს).

2.მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია მისი დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ 2020 წლის 16 თებერვლიდან.

3.მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ.

მომხსენებელმა სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად წარადგინა პროფესორი ზურაბ გვიშიანი.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ინფორმაციას.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად 2020 წლის 17 თებერვლიდან დაინიშნოს პროფესორი ზურაბ გვიშიანი.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

4. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად პროფესორ მარინა ჯავახიშვილის დანიშვნის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა: როინ იმედაძემ, ლია კახიანმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს პროფესორ მარინა ჯავახიშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნოს პროფესორი მარინა ჯავახიშვილი.

5. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პროფესორ მარინა ჯავახიშვილის ინფორმაცია მთის განვითარების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსის სილაბუსების დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა წარმოადგინა სილაბუსები:

1. „მთის მდინარეების ჰიდრომეტრიის საფუძვლები“ – ავტორი რ.დიაკონიძე

სფერო: არქიტექტურა და მშენებლობა-AAC **ქვესფერო:** სამოქალაქო ინჟინერია- 4

2. „ხმელეთის ჰიდროლოგია და წყლის რესურსები“ – ავტორი რ.დიაკონიძე

სფერო: არქიტექტურა და მშენებლობა-AAC **ქვესფერო:** სამოქალაქო ინჟინერია-4

3. „მთის ეკოლოგიური გამოწვევები,კატასტროფები და რისკები“ – ავტორი რ.დიაკონიძე

სფერო: ინჟინერია და საინჟინრო საქმე-EET **ქვესფერო:** გარემოს დაცვის ტექნოლოგია-2

4. „მთიანი რეგიონების წყლის რესურსების ხარისხის დაცვა“ –ავტორი რ.დიაკონიძე

სფერო: არქიტექტურა და მშენებლობა-AAC **ქვესფერო:** სამოქალაქო ინჟინერია-4

5. „მთიანი რეგიონის ლანდშაფტური დარაიონება“ – ავტორები:
რ.დიაკონიძე,ჯ.ფანჩულიძე

სფერო: არქიტექტურა და მშენებლობა-AAC **ქვესფერო:** სამოქალაქო ინჟინერია-4

6. „მიწათმოწყობა და კადასტრი“ – ავტორები:რ.დიაკონიძე,ჯ.ფანჩულიძე

სფერო: ფიზიკური მეცნიერებები-PHS **ქვესფერო:** გეოდეზია-4

7. „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“ – ავტორები: რ.დიაკონიძე; ჯ.ფანჩულიძე

სფერო: ფიზიკური მეცნიერებები-PHS **ქვესფერო:** დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები- 2

8. „წყალთა მეურნეობის ეკონომიკა“ – ავტორები:მ.ვართანოვი,რ.დიაკონიძე

სფერო: სოციალური მეცნიერებები - SOS **ქვესფერო:** ეკონომიკა-1

9. „ბუნებათ სარგებლობის ეკონომიკა“ –ავტორები: მ.ვართანოვი,რ.დიაკონიძე
საველე პრაქტიკა

სფერო: სოციალური მეცნიერებები - SOS **ქვესფერო:** ეკონომიკა-1

10.“ჰიდროლოგია,ჰიდრომეტრია და ჩამონადენის რეგულირება“ – ავტორი
რ.დიაკონიძე

სფერო: არქიტექტურა და მშენებლობა-AAC **ქვესფერო:** სამოქალაქო ინჟინერია-4

11. „მთიანი რეგიონის მდგრადობა და კატასტროფული მოვლენებისაგან დაცვა“ –
ავტორი რ.დიაკონიძე

სფერო: ინჟინერია და საინჟინრო საქმე-EET **ქვესფერო:** გარემოს დაცვის ტექნოლოგია-2

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 აპრილის №751-ე განკარგულებისა და 2019 წლის 19 აპრილის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, განსაზღვრულ მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის 4 სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამისთვის სილაბუსების შემუშავებას და დამტკიცებას.

დაადგინეს: პროფესორ მარინა ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი მთის განვითარების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსის სილაბუსები დამტკიცდეს.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

/დ. გურგენიძე/

საბჭოს მდივანი, პროფესორი

/რ. იმედაძე /